პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

1.1 **დომენის რეგულაციის** მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია **ადმინისტრატორისთვის** ან/და **რეგისტრატორისთვის დომენური სახელის** რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

1.2 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის **ადმინისტრატორი** წარმოადგენს მონაცემთა დამმუშავებელს, ხოლო **რეგისტრატორი** წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, რომელიც **რეგისტრატორის ხელშეკრულების** და ამ **დომენის რეგულაციის** საფუძველზე ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს.

1.3 **ადმინისტრატორი** და **რეგისტრატორი** ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს შემდეგნაირად:

1.3.1 **რეგისტრანტის** სარეგისტრაციო განაცხადის განსახილველად და მისთვის მომსახურების გასაწევად, **რეგისტრანტის** თანხმობის საფუძველზე, რომელი თანხმობაც გამოხატულია და დაფიქსირებულია სარეგისტრაციო განაცხადში და **რეგისტრატორსა** და **რეგისტრანტს** შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, **რეგისტრატორი** და **ადმინისტრატორი** აგროვებენ და ამუშავებენ შემდეგი კატეგორიის ინფორმაციას:

(i) **რეგისტრანტის**, **რეგისტრანტის ტექნიკური** და **ადმინისტრაციული საკონტაქტო პირის, ბილინგ საკონტაქტო პირის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრული სახელი, საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი (ქვეყანა, შტატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საფოსტო ინდექსი, ქალაქი, ქუჩა, ბინა);

(ii) **რეგისტრანტის**, **ადმინისტრაციული საკონტაქტო პირის, ტექნიკური საკონტაქტო პირის**, **ბილინგ საკონტაქტო პირის** პირადი ნომერი, ასაკი, სქესი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, ქვეყანა, რომელმაც გასცა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან პირადი ნომრის არარსებობის შემთხვევაში - დაბადების თარიღი და ქვეყანა, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს;

(iii) ფინანსურ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია **დომენური სახელის** სარეგისტრაციო საფასურისა და რეგისტრაციის განახლების საფასურის გადახდასთან, მათ შორის, ანგარიშის ნომერი;

(iv) **რეგისტრანტის სახელზე რეგისტრირებული დომენური სახელის** შესახებ ინფორმაცია, **დომენური სახელის** რეგისტრაციის, სარეგისტრაციო მონაცემებში უკანასკნელი ცვლილების შეტანის თარიღი, **დომენური სახელის** რეგისტრაციის ვადის გასვლის თარიღი და სტატუსი, **დომენური სახელის** რეგისტრაციის შეწყვეტის და გაუქმების თარიღები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

(v) იმ **სახელის სერვერების** შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ემსახურება **რეგისტრანტის** სახელზე რეგისტრირებულ **დომენურ სახელს;**

(vi) ავტომატურ რეჟიმში ლოგ ფაილების სახით შეგროვებული ინფორმაცია, რომელიც, მათ შორის და არამხოლოდ, მოიცავს **რეგისტრანტის** მიერ **დომენური სახელის** გამოყენების, სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების, გადახდების, **რეგისტრანტის** პროფილის მართვის შესახებ ინფორმაციას.

1.3.2 **რეგისტრატორი** და **ადმინისტრატორი** უფლებამოსილები არიან შეაგროვონ და დაამუშაონ **რეგისტრანტის** პერსონალური მონაცემები **რეგისტრანტის** სახელზე **დომენური სახელის** რეგისტრაციისა და **რეგისტრანტისთვის სარეგისტრაციო მომსახურების** გაწევის მიზნით, რაც საჭიროა, მათ შორის და არამხოლოდ, შემდეგი ქმედებების განსახორციელებლად:

(i) **დომენური სახელის** რეგისტრაციისთვის და **სარეგისტრაციო მომსახურების** გასაწევად;

(ii) **WHOIS მომსახურების** მეშვეობით **რეგისტრანტისა** და მის სახელზე რეგისტრირებული **დომენური სახელის** შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებლად;

(iii) **ადმინისტრატორის/რეგისტრატორის** კომპეტენციას მიკუთვნებული ოპერაციების შესასრულებლად ან გადაწყვეტილების მისაღებად;

(iv) კანონმდებლობის ან სტანდარტის, ინსტრუქციის ან ჩვეულებითი პრაქტიკის, სავალდებულო ძალის მქონე წესების, რომლებიც ვრცელდება **ადმინისტრატორზე/რეგისტრატორზე**, დასაცავად, ასევე დარღვეული, ან სადავოდ გამხდარი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სასამართლოსა თუ დავის ალტერნატიული განმხილველი ორგანოს მეშვეობით;

(v) **რეგისტრანტის** და **რეგისტრანტის ტექნიკური** და **ადმინისტრაციული საკონტაქტო პირის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადგენის უზრუნველსაყოფად;

(vi) **დომენური სახელების რეესტრის** ფუნქციონირებისთვის.

1.4 **ადმინისტრატორი/რეგისტარტორი** უფლებამოსილია გაამჟღავნოს **რეგისტრანტის** პერსონალური ინფორმაცია შემდეგ შემთხვევებში:

(i) **დომენის რეგულაციის** 7.4.1.1 პუნქტის შესაბამისად **დომენური სახელის** შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;

(ii) **დომენის რეგულაციის** 7.4.1.3 პუნქტის შესაბამისად მესამე პირისთვის, შესაბამისი იურისდიქციის მქონე უფლებამოსილი ორგანოსთვის, მათ შორის, **WIPO**-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრისთვის, სასამართლოსთვის, ალტერნატიული დავის განმხილველი ორგანოსთვის **რეგისტრანტის** შესახებ ინფორმაციის გადაცემა.

1.5 **რეგისტრატორი** და **ადმინისტრატორი** უფლებამოსილნი არიან დაამუშაონ და შეინახონ **რეგისტრანტის** პერსონალური მონაცემები **რეგისტრანტსა** და **რეგისტრატორს** შორის სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის და ასევე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან/შეწყვეტიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში, ასეთი ვადის გასვლის შემდეგ **რეგისტრატორი/ადმინისტრატორი** ვალდებულია წაშალოს **რეგისტრანტის** პერსონალური მონაცემები.

1.6 **რეგისტრანტსა** და **რეგისტრატორს** შორის სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის/შეწყვეტის შემდეგ **რეგისტრანტი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **რეგისტრატორს/ადმინისტრატორს** საკუთარი პერსონალური მონაცემების წაშლა, რა შემთხვევაშიც **რეგისტრატორს/ადმინისტრატორი** ვალდებულია წაშალოს ასეთი **რეგისტრანტის** პერსონალური მონაცემები.

1.7 **რეგისტრანტს**, **ადმინისტრაციულ საკონტაქტო პირს** და **ტექნიკურ საკონტაქტო პირს** უფლება აქვთ **ადმინისტრატორისგან** და **რეგისტრატორისგან**, რომლის მეშვეობითაც **რეგისტრანტმა** გააკეთა სარეგისტრაციო განაცხადი **დომენური სახელის** დასარეგისტრირებლად ან **რეგისტრატორის** შესაცვლელად, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია **ადმინისტრატორის** და **რეგისტარტორის** მიერ დამუშავებული თავისი პერსონალურ მონაცემების შესახებ.